

საქართველოს საგარეო ვაჭრობა 2022 წლის იანვარი-ივნისი

2022 წლის იანვარ-ივნისში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 8 477.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 35.4%-ით მეტია. აქედან ექსპორტი გაიზარდა 35.6%-ით და 2 558.7 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, ხოლო იმპორტი 35.3%-ით გაიზარდა და 5 918.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2022 წლის იანვარ-ივნისში, 3 359.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 39.6%-ია.

უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები ადგილობრივ ექსპორტში

ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე) წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 36.3%-ით გაიზარდა, 1 880.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 73.5% დაიკავა. ზრდა ძირითადად შემდეგი პოზიციების ხარჯზე განხორციელდა:

- სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 533.1მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 36%)
- ფეროშენადნობები -2295.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 59%)
- აზოტოვანი სასუქები - 165.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 39%)
- ოქრო - 43.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 48%)
- ძვირფასი ლითონის მადნები - 42.7მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 99%)
- თხილი - 39.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 14%)
- ტრიკოტაჟის ნაწარმი - 42.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 20%)

ამასთან, 2022 წლის 6 თვეში ადგილობრივ ექსპორტში შემცირება დაფიქსირდა საქართველოსთვის ისეთ მნიშვნელოვან საექსპორტო პროდუქციებზე, როგორცაა:

- ღვინო - 99.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 4%)
- მინერალური წყალი - 44.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 33%)
- სპირტიანი სასმელები - 33.3მლნ. აშშ დოლარი (კლება 21%)

უმსხვილესი სასაქონლო პოზიციები რე - ექსპორტში

რე-ექსპორტი 33.7%-ით გაიზარდა, 678,1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 26.5% დაიკავა. ზრდა ძირითადად შემდეგი პოზიციების ხარჯზე განხორციელდა:

- მსუბუქი ავტომობილები - 269.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 31%)
- სამკურნალო საშუალებები 49.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 15%)
- სატელეფონო აპარატები - 16.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 113%)
- სამედიცინო ხელსაწყოები - 19.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 28%)


საქართველოს საგარეო ვაჭრობის დინამიკა 2017-2022/6 წლის მდგომარეობით

მილიონი აშშ დოლარი	2017	2018	2019	2020	2021	2022 იანვარი-ივნისი
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	10,803	12,742	13,318	11,396	14,347	8,477.4
ზრდა%	14%	18%	5%	-14%	26%	35%
ექსპორტი	2,746	3,380	3,798	3,343	4,242	2,558.7
ზრდა%	30%	23%	12%	-12%	27%	36%
იმპორტი	8,057	9,362	9,519	8,053	10,105	5,918.6
ზრდა%	10%	16%	2%	-15%	25%	35%
საგარეო ვაჭრობის სალდო	-5 311.4	-5 982.1	-5 720.8	-4 709.4	-5 862.8	-3, 559.8
ზრდა%	2%	13%	-4%	-18%	24%	35%
ადგილობრივი ექსპორტი	2,008	2,226	2,325	2,408	3,127	1,880.6
ზრდა%	24%	11%	4%	4%	30%	36%

საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები ბრუნვის მიხედვით

2022 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68.7 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (1 294 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (962 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (922.5 მლნ. აშშ დოლარი).


საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2022 წლის იანვარ-ივნისი ბრუნვის მიხედვით



საქართველოს ექსპორტი


2022 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნის წილმა მთლიან ექსპორტში 79% შეადგინა. სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა ჩინეთი (400 მლნ აშშ დოლარი), აზერბაიჯანი (287 მლნ აშშ დოლარი) და რუსეთი (256 მლნ აშშ დოლარი).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები
2022 წლის იანვარ-ივნისი ექსპორტის მიხედვით



2022 წლის იანვარ-ივნისში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 533.1 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 20.8%-ს შეადგენს. მეორე ადგილი - ფეროშენადნობები 301.6 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 11.8%), ხოლო მესამე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები 269.3 მლნ. აშშ დოლარით (10.5 %).

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს ექსპორტში, 2022 წლის იანვარ-ივნისი



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 2%-ით გაიზარდა და 501.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი გაიზარდა 47%-ით და 2057.1 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

საქართველოს ექსპორტი გაიზარდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

თხილი - ექსპორტი 40.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 14%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია 25% (ზრდა 140%), გერმანია 23% (ზრდა 20%), სომხეთი 8% (ზრდა 43%), ესპანეთი 7% (ზრდა 71%).

უაღკოპოლო სასმელები - ექსპორტი 32.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 17%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 38% (კლება 4%), აზერბაიჯანი 17% (ზრდა 49%), სომხეთი 15% (ზრდა 131%), ისრაელი 8% (ზრდა 17%).

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - ექსპორტი 18.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 87%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ერაყი 53% (ზრდა 123%), აზერბაიჯანი 31% (ზრდა 6%), იორდანია 10% და ეგვიპტე 4% (ამ ორ ქვეყანაში წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

ხილ-ბოსტნეულის წვენები - ექსპორტი 6.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 13%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 27% (ზრდა 0.6%), აშშ 20% (ზრდა 38%), ავსტრალია 11% (ზრდა 57%), საბერძნეთი 5% (ზრდა 103%).

ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - ექსპორტი 7.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 7%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 22% (ზრდა 132%), გერმანია 12% (კლება 49%), საუდის არაბეთი 10% (ზრდა 63%), საფრანგეთი 6% (ზრდა 59%).

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - ექსპორტი 533.1 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 36%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 59% (ზრდა 35%), ბულგარეთი 78% (ზრდა 78%), კორეა 1% (ზრდა 154%).

ფეროშენადნობი - ექსპორტი 301.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 62%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აშშ 44% (ზრდა 137%), რუსეთი 29% (ზრდა 18%), თურქეთი 13% (ზრდა 85%), იტალია 4% (ზრდა 196%), აზერბაიჯანი 3% (ზრდა 163%), უკრაინა 3% (წინა წელს განხორცილდა უმნიშვნელო რაოდენობით).

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტი 269.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 31%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 48% (ზრდა 14%), ყაზახეთი 11% (ზრდა 5-ჯერ), უკრაინა 12% (კლება 27%), ბელგია 6 (ზრდა 73%).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 165.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 229%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პერუ 50% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), რუმინეთი 9% (ზრდა 64%), უკრაინა 8% (ზრდა 33%), ინდოეთი 13% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

ტრიკოტაჟის ნაწარმი - ექსპორტი 42.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 20%). ექსპორტის 98% განხორციელდა თურქეთში.

მედიკამენტები - ექსპორტი 49.2 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 15%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უზბეკეთი 54% (ზრდა 44%), აზერბაიჯანი 21% (ზრდა 28%), სომხეთი 7% (ზრდა 8%).

ოქრო - ექსპორტი 43.5 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 48%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: შვეიცარია 90% (ზრდა 41%), გერმანია 6% (ზრდა 244%).

ძვირფასი ლითონის მადნები - 42.7 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 99%). საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 93% (ზრდა 85%), ბულგარეთი 7% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა).

ელექტროენერჯია - ექსპორტი 53.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 304%). საექსპორტო ბაზრები: თურქეთი 92% (ზრდა 7-ჯერ), სომხეთი 7% (კლება 22%).

სამედიცინო და ვეტ ხელსაწყოები - ექსპორტი 19.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 28%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ჩინეთი 56% (ზრდა 4%), პოლონეთი 6% (ზრდა 84%), გერმანია 4% (ზრდა 31%).

საქართველოს ექსპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

ღვინო - ექსპორტი 99.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 4%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 58% (კლება 3%), ჩინეთი 7% (კლება 4%), პოლონეთი 7% (ზრდა 26%), ყაზახეთი 4% (კლება 1%), უკრაინა 3 (კლება 67%).

მინერალური წყალი - ექსპორტი 44.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 33%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 41% (კლება 40%), ყაზახეთი 19% (ზრდა 172%), უკრაინა 12% (კლება 59%, ლიეტუვა 7% (კლება 63%).

სპირტიანი სასმელები - ექსპორტი 52.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 23%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 26% (კლება 13%), უკრაინა 18% (კლება 50%), საფრანგეთი 9% (კლება 42%), ბელარუსი 9% (ზრდა 59%).

კარტოფილი - ექსპორტი 4.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 46%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 61% (კლება 62%), აზერბაიჯანი 29% (ზრდა 4-ჯერ), სომხეთი 9% (ზრდა 4-ჯერ)


ცოცხალი ცხვარი - 6.3 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 26%). ძირითადი საექსპორტო ბაზრებია: საუდის არაბეთი 40% (კლება 62%), აზერბაიჯანი 22% (ზრდა 28%), ეგვიპტე 19% და იორდანია 17% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ამ ქვეყნებში ექსპორტი არ განხორციელებულა).

შავი ლითონის ჯართი - ექსპორტი 16.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 13%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: თურქეთი 92% (კლება 15%), ნიდერლანდები 6% (კლება 13%).

საქართველოს იმპორტი


2022 წლის იანვარ-ივნისში ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 66.4% შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1 040 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (706 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (522.5 მლნ. აშშ დოლარი).

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2022 წლის იანვარ-ივნისის იმპორტის მიხედვით



უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2022 წლის იანვარ-ივნისში წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 606.8 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 10.3% შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები 576.8 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 9.7%), ხოლო მესამე ადგილი სპილენძის მადნები და კონცენტრატებს ეკავა 416.3 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7%).

უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები საქართველოს იმპორტში 2022 წლის იანვარ-ივნისის



სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 31% გაიზარდა და 783 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქციის იმპორტი 36% გაიზარდა და 5 135.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი საქართველოში გაიზარდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:

ფრინველის ხორცი და სუბპროდუქტები გაყინული - 41.1 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 57%). იმპორტიორი ქვეყნებია: ბრაზილია 22% (ზრდა 112%), თურქეთი 19% (კლება 0.4%), ჩინეთი 12% (ზრდა 228%), გერმანია 8% (ზრდა 91%), ნიდერლანდები 6% (კლება 11%).

ღორის ხორცი გაყინული - 20 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 35%). იმპორტიორი ქვეყნებია: ბრაზილია 77% (ზრდა 101%), კანადა 11% (ზრდა 3%).

ხორბლის ფქვილი - 29.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 11-ჯერ). იმპორტის 99% განხორციელდა რუსეთიდან.

თევზი გაყინული - 14.5 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 49%). იმპორტიორი ქვეყნებია: აშშ 17% (ზრდა 74%), ისლანდია 16% (ზრდა 76%), ნორვეგია 12% (ზრდა 111%).

ნაღების კარაქი - 15.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 20%). იმპორტიორი ქვეყნებია: საფრანგეთი 26% (ზრდა 106%), ურუგვაი 18% (ზრდა 79%), პარაგვაი 18% (ზრდა 10-ჯერ), ფინეთი 12% (ზრდა 26%).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 576.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 76%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 32% (ზრდა 208%), რუმინეთი 22% (ზრდა 71%), თურქმენეთი 17% (ზრდა 23%), ბულგარეთი 13% (ზრდა 131%).

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - 416.6 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 24%). იმპორტიორი ქვეყნებია: სომხეთი 51% (ზრდა 7%), ჩილე 15% (ზრდა 21%), ინდონეზია 13% (ზრდა 6%), ბრაზილია 10% (ზრდა 26%).

მსუბუქი ავტომობილები - 606.8 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 46%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნებია: აშშ 55% (ზრდა 28%), იაპონია 16% (ზრდა 52%), გერმანია 9% (ზრდა 49%), თურქეთი 9% (ზრდა 636%).

ნავთობის აირები - 232.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 38%). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 83% (ზრდა 78%), რუსეთი 17% (კლება 33%).

მედიკამენტები - 195.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 12%) იმპორტიორი ქვეყნებია: თურქეთი 17% (ზრდა 39%), გერმანია 10% (კლება 4%), საფრანგეთი 9% (ზრდა 7%), უნგრეთი 7% (კლება 14%), რუსეთი 4% (ზრდა 39%), უკრაინა 3% (კლება 27%).

სატელეფონო აპარატები - 125.4 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 4%). იმპორტიორი ქვეყნებია: არაბთა გაერთიანებული საემიროები 35% (ზრდა 69%), ჰონგ-კონგი 17% (კლება 19%), ჩეხეთი 12% (ზრდა 28%), ჩინეთი 9% (ზრდა 200%).

მანგანუმის მადნები - 19.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 335%). იმპორტიორი ქვეყნებია: გაბონი 97% (ზრდა 97%), თურქეთი 3% (კლება 21%).

არმატურა - 50 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 137%). იმპორტიორი ქვეყნებია: აზერბაიჯანი 37% (ზრდა 110%), რუსეთი 28% (ზრდა 5-ჯერ), თურქეთი 22% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით), ირანი 9% (ზრდა 245%).

ბრტყელი ნაგლინი ნახშირბადიანი ფოლადის - 29.2 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის ზრდა 77%). იმპორტიორი ქვეყნებია: სინგაპური 35% (წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა), რუსეთი 18% (ზრდა 5%), უკრაინა 15% (კლება 23%).

საქართველოში იმპორტის კლება დაფიქსირდა შემდეგ ძირითად სასაქონლო პოზიციებზე:


ხორბალი - 16.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 55%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 88% (კლება 54%), ყაზახეთი 8% (ზრდა 123%), სომხეთი 4% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა).

მცენარეული ზეთი - 13.9 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 46%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 73% (კლება 53%), აზერბაიჯანი 20% (ზრდა 27%).

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცი გაყინული - 5.3 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 38%). იმპორტიორი ქვეყნებია: ლიეტუვა 44% (ზრდა 29%), ბრაზილია 26% (კლება 17%), უკრაინა 12% (კლება 85%).

ელექტროენერგია - 34.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 6%). იმპორტიორი ქვეყნებია: რუსეთი 43% (ზრდა 127%), სომხეთი 29% (წინა წელს იმპორტი არ განხორციელებულა), აზერბაიჯანი 28% (კლება 59%), მიმდინარე წელს თურქეთიდან იმპორტი არ განხორციელებულა 2021/6 – 7 მლნ აშშ დოლარი.

რეგიონალური ვაჭრობა



საქართველო-ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვა

ევროკავშირთან ბრუნვა 32%-ით გაიზარდა, 1 750.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ბრუნვის 21% დაიკავა (2021/6 - 21%). **ექსპორტი** გაიზარდა 35%-ით, 433 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 17% შეადგინა (2021/6-17%). **იმპორტი** ევროკავშირიდან 31%-ით გაიზარდა და 1316.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მთლიანი იმპორტის 28% დაიკავა (2021/6 – 23%).

ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 32%-ით გაიზარდა, 373.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და ევროკავშირში მთლიანი ექსპორტის 86% დაიკავა.

ექსპორტი

სასოფლო-სამეურნეო ექსპორტი გაიზარდა 12%-ით და 77.3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 40%-ით და 355.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პროდუქციაზე:

თხილი - ექსპორტი 29.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 45%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია 35% (ზრდა 140%), გერმანია 31% (ზრდა 20%), ესპანეთი 10% (ზრდა 71%), ლიეტუვა 7% (ზრდა 5%);

ღვინო - ექსპორტი 16.4 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 28%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი 46% (ზრდა 26%), ლატვია 15% (ზრდა 12%), გერმანია 12% (ზრდა 25%), ესტონეთი 7% (ზრდა 30%).

ხილ-ბოსტნეულის კონსერვები - ექსპორტი 3.1 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 20%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია 28% (კლება 49%), საფრანგეთი 14% (ზრდა 59%), პოლონეთი 11% (ზრდა 46%).

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტი 17.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 77%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ბელგია 84% (ზრდა 73%), საფრანგეთი 3% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), რუმინეთი 7% (წინა წელს ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით).

ფეროშენადნობი - ექსპორტი 18.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 154% და 10.9 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: იტალია 63% (ზრდა 196%), საფრანგეთი 16% (წინა წელს ექსპორტი არ განხორციელებულა), ესპანეთი 15% (ზრდა 33%).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 14.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 0.2%). ექსპორტის სრული მოცულობა განხორციელდა რუმინეთში (ზრდა 64%), ექსპორტი მიმდინარე წელს არ განხორციელებულა ქვეყნებში საბერძნეთი, ესპანეთი, ლიეტუვა, იტალია, ხოლო წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტის ჯამი ამ ქვეყნებში შეადგენდა 5.6 მლნ აშშ დოლარს.

სპილენძის მადნები და კონცენტრატები - ექსპორტი 212.7 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 38%). ექსპორტის სრული მოცულობა განხორციელდა ბულგარეთში (ზრდა 78%). ექსპორტი მიმდინარე წელს არ განხორციელებულა ესპანეთში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტის შეადგენდა 34.5 მლნ აშშ დოლარს.

ექსპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

მინერალური წყალი - ექსპორტი 4.4 მლნ. აშშ დოლარი (კლება 54%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ლიეტუვა 75% (კლება 63%) და ლატვია 12% (ზრდა 18-ჯერ).

ხილ-ბოსტნეულის წვენები - ექსპორტი 0.7 მლნ. აშშ დოლარი (კლება 47%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: გერმანია 26% (კლება 78%), საბერძნეთი 42% (ზრდა 103%).

სპირტიანი სასმელები - ექსპორტი 11.1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 9%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: საფრანგეთი 43% (კლება 42%), ნიდერლანდები 16% (კლება 14%), საბერძნეთი 11% (ზრდა 7-ჯერ).

ცხოველების სახლები - ექსპორტი 5.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 93%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: პოლონეთი 51% (კლება 92%), ბელგია 25% (კლება 91%).

მვირფასი ლითონის ჯართი - ექსპორტი 7.1 მლნ. აშშ დოლარი (კლება 50%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: ლიეტუვა 81% (კლება 51%), იტალია 13% (კლება 61%).

იმპორტი

სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის იმპორტი 26%-ით გაიზარდა და 173.6მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო **სამრეწველო პროდუქციის იმპორტი** გაიზარდა 32%-ით და 1 143 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ევროკავშირიდან იმპორტი გაიზარდა შემდეგი პროდუქციაზე:

შაქარი - იმპორტი 10.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 47% და 2.1 მლნ. აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: პოლონეთი 83% (ზრდა 68%), საფრანგეთი 11% (ზრდა 118%), ნიდერლანდები 5% (კლება 11%).

საკვები ინგრედიენტები - იმპორტი 12.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 8%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 26% (ზრდა 14%), ლატვია 11% (კლება 128%), იტალია 13% (ზრდა 21%).

ძეხვი და ხორცპროდუქტები - იმპორტი 1.9 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 25%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ავსტრია 48% (ზრდა 14%), ესპანეთი 23% (ზრდა 44%), საფრანგეთი 10% (ზრდა 160%).

ფრინველის ხორცი - იმპორტი 10.3 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 26%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 34% (ზრდა 91%), ნიდერლანდები 24% (კლება 11%), საფრანგეთი 7% (კლება 38%), დანია 7% (კლება 29%).

კარაქი - იმპორტი 6.4 მილიონი აშშ დოლარი (ზრდა 37%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: საფრანგეთი 63% (ზრდა 106%), ფინეთი 28% (ზრდა 26%), დანია 6% (ზრდა 13%).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი 222.2 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 78%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუმინეთი 56% (ზრდა 71%), ბულგარეთი 35% (ზრდა 171%), საბერძნეთი 4% (ზრდა 38%), გერმანია 2% (ზრდა 27%).

ცხოველის საკვები - იმპორტი 11.3 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 29%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: ესპანეთი 19% (ზრდა 22%), პოლონეთი 11% (ზრდა 8%), გერმანია 13% (ზრდა 54%), საფრანგეთი 7% (კლება 23%), იტალია 10% (ზრდა 30%).

მსუბუქი ავტომობილები - იმპორტი 88.3 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 43% და 19.7 მლნ აშშ დოლარი). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 61% (ზრდა 49%), ბელგია 9% (ზრდა 148%), ჩეხეთი 6% (ზრდა 16%), პოლონეთი 5% (ზრდა 22%).

სამკურნალო საშუალებები - იმპორტი 101.5 მლნ აშშ დოლარი (ზრდა 3%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 20% (კლება 4%), უნგრეთი 13% (კლება 1%) საფრანგეთი 17% (ზრდა 7%), სლოვენია 7% (კლება 4%).

ევროკავშირიდან იმპორტი შემცირდა შემდეგ პროდუქციაზე:

რეაგენტები ლაბორატორიული - იმპორტი 9.9 მლნ აშშ დოლარი (კლება 19%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 38% (კლება 37%), ნიდერლანდები 21% (კლება 39%), საფრანგეთი 14% (კლება 4%), იტალია 9% (ზრდა 956%).

სატვირთო ავტომობილები - იმპორტი 28.2 მლნ აშშ დოლარი (კლება 23%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: გერმანია 42% (კლება 20%), ნიდერლანდები 13% (ზრდა 2%), იტალია 5% (კლება 85%), პოლონეთი 11% (ზრდა 31%), საფრანგეთი 9% (ზრდა 21%) ბელგია 7% (კლება 4%).

საქართველო - დსთ საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2021 წელი

2022 წლის იანვარ-ივნისში დსთ ბრუნვა 23.5%-ით გაიზარდა, 2 654.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ბრუნვის 31% დაიკავა (**2021/ - 34%**). **ექსპორტი** გაიზარდა 15%-ით, 1017.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი ექსპორტის 39% შეადგინა (2021/6-46%). **იმპორტი** 28%-ით გაიზარდა და 1637.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, მთლიანი იმპორტის 28% დაიკავა (2021 - 29%).

დსთ-ში ადგილობრივმა ექსპორტი 4%-ით გაიზარდა 482.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და დსთ-ში საქართველოს მთლიანი ექსპორტის 47% დაიკავა.

ექსპორტი

სასოფლო სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი 1%-ით შემცირდა და 336.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, სამრეწველო პროდუქციის ექსპორტი 29%-ით გაიზარდა და 680.8 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა.

ექსპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

უალკოჰოლო სასმელები - ექსპორტი 27.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის ზრდა 19%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 44% (კლება 4%), აზერბაიჯანი 20% (ზრდა 49%), სომხეთი 18% (ზრდა 131%), ყაზახეთი 10% (ზრდა 105%).

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი - ექსპორტი 5.8 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 8%). ექსპორტის 98% განხორციელდა აზერბაიჯანში (ზრდა 20.6%), დანარჩენი 2% კი სომხეთში (წინა წელს საქონელი არ გასულა).

თევზის ფქვილი - 7.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 32%). საექსპორტო ბაზრები სომხეთი 97.6% (ზრდა 31%), აზერბაიჯანი 3% (ზრდა 59%).

კენკროვანი ხილი - ექსპორტი 5.0 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 42%). საექსპორტო ბაზრებია რუსეთი 67% (ზრდა 9%), სომხეთი 29% (ზრდა 249%).

ფეროშენადნობი - ექსპორტი 105.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 35%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 82% (ზრდა 18%), აზერბაიჯანი 8% (ზრდა 163%), უკრაინა 7% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი განხორციელდა უმნიშვნელო რაოდენობით).

მსუბუქი ავტომობილები - ექსპორტი 241.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 49%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 54% (ზრდა 10%), უკრაინა 14% (კლება 27%), ყაზახეთი 12% (ზრდა 5.5-ჯერ).

აზოტოვანი სასუქები - ექსპორტი 24.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 52%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: უკრაინა 54% (ზრდა 33%), სომხეთი 44% (ზრდა 169%).

სიგარეტები - ექსპორტი 18.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 27%). საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 34% (ზრდა 12%), ყაზახეთი 66% (ზრდა 29-ჯერ).

ექსპორტი შემცირდა შემდეგ სასაქონლო პოზიციებზე:

კურკოვანი ხილი - ექსპორტი 1.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 59%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 83% (კლება 55%), სომხეთი 13% (კლება 74%).

მინერალური წყალი - ექსპორტი 38.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 28%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 48% (კლება 40%), ყაზახეთი 22% (ზრდა 172%), უკრაინა 14% (კლება 59%), ბელარუსი 7% (კლება 16%).

ღვინო - ექსპორტი 68.8 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 11%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 84% (კლება 3%), ყაზახეთი 6% (კლება 1%), უკრაინა 5% (კლება 67%), ბელარუსი 3% (კლება 2%).

თხილი - ექსპორტი 6.9 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 33%), ძირითადი საექსპორტო ბაზრები: სომხეთი 44% (ზრდა 16%), რუსეთი 24% (კლება 52%), ბელარუსი 12% (კლება 67%), უკრაინა 8% (კლება 58%).

სპირტიანი სასმელები - ექსპორტი 34.6 მლნ. აშშ დოლარი (ექსპორტის კლება 25%). ძირითადი საექსპორტო ბაზრები: რუსეთი 39% (კლება 13%), უკრაინა 28% (კლება 50%), ბელარუსი 14% (ზრდა 59%).

ციანიდები - ექსპორტი 5.5 მლნ. აშშ დოლარი (კლება 21%), საექსპორტო ბაზრები: აზერბაიჯანი 38% (კლება 67%), სომხეთი 44% (ზრდა 308%), ყირგიზეთი 15% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში ექსპორტი არ განხორციელებულა).

იმპორტი

დსთ-ს ქვეყნებიდან **სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის** იმპორტი 18%-ით გაიზარდა და 327.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. **სამრეწველო პროდუქციის** იმპორტი 30%-ით გაიზარდა და 1309.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

იმპორტი გაიზარდა შემდეგ პოზიციებზე:

საკონდიტრო ნაწარმი - იმპორტი 16.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 10%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 72% (ზრდა 22%), უკრაინა 21% (კლება -23%).

ბუნებრივი აირი - იმპორტი 232.3 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 38%) იმპორტიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი 83% (ზრდა 78%), რუსეთი 17% (კლება 33%).

ნავთობი და ნავთობპროდუქტები - იმპორტი 333.2 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 76%) იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 55% (ზრდა 208%), თურქმენეთი 29% (ზრდა 23%), აზერბაიჯანი 15% (ზრდა 0.2%).

არმატურა - იმპორტი 34.5 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 79%). იმპორტიორი ქვეყნები: აზერბაიჯანი 54% (ზრდა 110%), რუსეთი 41% (ზრდა 36-ჯერ), უკრაინა 5% (კლება 77%).

სპილენძის მადნები - იმპორტი 215.6 მლნ. აშშ დოლარი (ზრდა 8%). იმპორტის ძირითადი მოცულობა სომხეთიდან განხორციელდა 99% (ზრდა 7%), აზერბაიჯანი 1% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა).

იმპორტი შემცირდა შემდეგ პოზიციებზე:

მცენარეული ზეთი - იმპორტი 13.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 47%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 74% (კლება 55%), აზერბაიჯანი 20% (ზრდა 27%).

სიგარეტები - იმპორტი 15.8 მლნ. აშშ დოლარი (კლება 51%). ძირითადი იმპორტიორი ქვეყნები: უკრაინა 69% (კლება 56%), სომხეთი 29% (ზრდა 7%).

ხორბალი - იმპორტი 16.7 მლნ. აშშ დოლარი (იმპორტის კლება 49%). იმპორტიორი ქვეყნები: რუსეთი 88% (კლება 54%), ყაზახეთი 8% (ზრდა 123%) და სომხეთი 4% (წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იმპორტი არ განხორციელებულა).

სიმინდი - იმპორტი 1.6 მლნ. აშშ დოლარი (კლება 80%). ძირითადი იმპორტიორია რუსეთი 96%.